წელიწადი მეორე. № 42. 26 ოკტომბერი. 1878 წ.

**ხელის-მოწერა:**

**ტფილისს,** «ივერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში № 5.

**ქუთაისს,** ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

**«ივერიის» ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთის წლისა, გაგზავნით დ გაუგზავნ. | 7 მ. — |
| ნახევარის წლისა | 3 მ. 50. |
| თითო ნომერი | — 15. |

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ხუთშაბათობით

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე: („ივერიის“ კორრესპონდენციები): თელავიდამ, კახეთიდამ, — II, საპოლიტიკო მიმოხილვა. — III. მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდამ (შემდეგი). — IV. რამეთუ კაცივარ, მოთხრობა (შემდეგი) — V. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოთა კრება ქ. თელავში 1878 წ. 3-ს ღვინობ.

წინადვე უნდა მოგახსენოთ, რომ თელავის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას არა ერთხელ დაუმტკიცებია თვისი გულგრილობა თვისის ერთად-ერთის სასწავლებლისადმი. სამღვდელოებას ჯერ არც კი გამოუღვიძნია და არც კი შეუტყვია თუ რა ცვლილებანი მომხდარან სასულიერო სასწავლებლების გაუმჯობესობისათვის, და ვისაც კი შეუტყვია იმას არ უნდა თვით საქმით მოიხმაროს ზემოხსენებული ცვლილებანი, რადგანაც არ ესმის, თუ რას ნიშნავს შვილების აღზრდა და რა გვარი მოვალეობა ედება მას, როდესაც თვისის შვილების სწავლის და აღზრდის საშუალებათ ხელს არ უწყობს. იქნება სამიოთხი მღვდელი მოიპოვებოდეს, რომელთაც არ მიეწერება ზემოხსენებული გულგრილობა. მაგრამ რა უნდა ჰქმნას სამმა კაცმა 150 (თელავის სასწავლებელს 150 შტატი მიეწერება) კაცის წინააღმდეგ? მღვდლებს ბლაღოჩინები უმართავენ ხელს, რადგანაც იგინი, წინააღმდეგ კანონისა, თვითონ ნიშნავენ დეპუტატებს თავის ნებით და რაც უნდათ იმას ალაპარაკებენ კრებაში. მაშასადამე დეპუტატები მთელის სამღვდელოების წარმომადგენელნი კი არა, არამედ მხოლოდ ბლაღოჩინების წარმომადგენელნი ყოფილან. ამისათვის ხშირად ასტყდება ხოლმე უკმაყოფილება დეპუტატებსა და მღვდლებს შორის და ამისათვისაც კრების გარდაწყვეტილება ხშირად არა სრულდება ზოგიერთი მღვდლებისაგან. ბევრჯელ მღვდლებს სრულებით არა ჰსურთ ივისრონ ის საქმე, რომელსაც კისრულობენ და აკისრებინებენ მათ მათი წარმომადგენლები — დეპუტატები, რადგანაც იგინი ლაპარაკობენ ბლაღოჩინების პირით, და არა სამღვდელოებისა. მაგრამ ზოგან კი მღვდლები დაემუქრებიან ხოლმე დეპუტატებს: „თუ ფული შემოგვაწერეთ რამე — სახლ-კარს სრულებით გადაგიბუგავთო“! (ქიზიყში). ამის შემდეგ ყველა დამეთანხმება, რომ ამ გვარად აღმორჩეულს და ამ გვარს დეპუტატების კრების გარდაწყვეტილებითა არავითარი წესი და ხანგრძლივი სიცოცხლე არ ექმნებათ. ვსთქვათ ფული შეაწერეს მღვდლებს სასწავლებლის სასარგებლოდ. ეს ფულები მგირად შემოვა სასწავლებლის ხაზინაში თავის დროზე. ზოგჯერ 4-5 წლის განმავლობაში არ აძლევენ ფულს ზოგიერთი მღვდლები; ზოგიერთისა სრულებითაც არ შემოაქვს. მიზეზი რა არის? ვითომ შეუძლებლობა? არა, დაუდევრობის და გულგრილობის მეტს აქ ადგილი არაფერსა აქვს. თვით 3-ს ღვინობისთვის კრებამაც განიხილა ერთი რაპორტი საინგილოს ბლაღოჩინის დ. უთიევისა, რომელშიაც ის ამბობდა, რომ მღვდელი ყულაშვილი, რომელსაც სასწავლებლის ხვედრი ფულები არ წარმოუდგენია, პრიხოდიდამ გამოვიდაო და არ ვიცი სად არისო. ამას ამბობს ის პირი იმ პირზე, რომელიც კრების მეორეს დღეს თვით უთიევს დასდევდა თელავის მაზრაში. ფულები არ შემოაქვს შეუძლებლობის გამო სასწავლებლის სასარგებლოდ იმ

მღვდელს ყულაშვილს, რომელსაც 200 კომლი მრევლი ჰყვანდა ჯამაგირის გარდა და რომელიც წელიწადში მარტო 400-500 მანეთის ბრინჯს გაჰყიდის. მოდი შენ ეხლა და ბლაღოჩინებს ნუ გაამტყუნებ! მეორე მხარე ავიღოთ: დღევანდელმა კრებამ გარდასწყვიტა რამე; ხვალინდელი კრება წინანდელის კრების გარდასწყვეტილებას, თუნდ ძრიელ სასარგებლოც იყოს სასწავლებლისათვის, მოსპობს ხოლმე. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ თელავის სასულიერო სასწავლებელი და მასში მოღვაწენი რა საცოდავ მდგომარეობაში უნდა იყვნენ! სამღვდელოების გულგრილობას შვილების აღზრდის საქმისადმი, ამტკიცებს კიდევ ის გარემოებაც, რომ კრებას დაესწრებიან მხოლოდ ნახევარი დეპუტატთა რიცხვისა (ზოგჯერ ნაკლებიც), ისინიც თავის დროზედ არ მოდიან.

ის საგნები, რომელნიც განიხილა 3-ს ღვინობისთვეს კრებამ, უნდა განეხილა მარიამობისთვის 31-სათვის დანიშნულს კრებას, მაგრამ რადგანაც დეპუტატები არ გამოცხადდნენ 3-4 გარდა, კრება გადადებულ იქმნა 3-ს ღვინობისთვისათვის, მაგრამ არც ეხლა გამოცხადდა 10 დეპუტატის მეტი 17-ს მაგივრად. ბატონო, რა კრებისა სცხელათ, ეხლა გახშირებული მაჭრებია, ქორწილები, წირვები, ნათლობები, ტაბლები და რა ვიცი რა არა.... კრებაზე რომ წამოსულიყვნენ, ქეიფი ვიღას გაეწყვიტნა, ღვინო ვიღას დაელია? ამ ნაირად იმ მღვდლებს რომელნიც ხალხის წინამძღოლად გასმანათლებლებად, თვალების ამხილებლებლად, „ქვეყნის მართლად და სინათლედ“ და ჭეშმარიტების მქადაგებლებლად იწოდებიან, იმ მღვდლებსა, მეთქი, ქეიფი ურჩევნიათ, ვიდრე შვილების აღზრდაზე ზრუნვა. ნამდვილად „გლახის ნაამბობის“ მღვდელსა ჰგვანან ეს ჩვენი მღვდლები აი!...

3-ს ღვინობისთვეს მღვდლები ძლივს შეიკრიბნენ ნაშუადღევის მეორე საათზე და ხმის უმეტესობით ამოირჩიეს თავსმჯდომარედ თიანეთის მღვდელი მ. ს. ბოლაევი, რომლის შემდეგ დაიშალა სამღვდელოება იმ განზრახვით, რომ სამს საათზედ შეკრებილიყო. მაგრამ სამს საათს ორიც მიუმატეს და გახდა ხუთი, რომელს საათზედაც შეიკრიბა სამღვდელოება. საგნები, რომელნიც წარდგენილნი იყვნენ თელავის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან კრების განსახილველად, იყვნენ შემდეგნი: ა) 28 საკანტორო ხარჯით მოსწავლეთათვის სახლის დაქირავება პანსიონის გასახსნელად (რომ შეგირდებს შიგ სასწავლებელში მიეცეთ ბინა) 600 მან. და შემწეობა თვითო მოსწავლეს თვეში ოთხი მანეთი. ამ 28 მოსწავლის გარდა სამმართველომ სხვა 22-ს მოსწავლის შენახვის წინადადებაც მისცა, რომ მღვდლებს სხვა 22 ღარიბ მოსწავლისათვისაც მიეცათ შემწეობა, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ სახლი კი იქირაონ და ყოველისფერი მოამზადონ 50 მოსწავლისათვის, მაგრამ დანაშთენ 22-ს მოსწავლეს ჩვენ ვერ შევინახავთო და ვისაც ჰსურს, თავის შვილი თავისივე ხარჯით შეიყვანოს პანსიონშიო. ამ ნაირად სახლი იქირავეს (ვითომ) 50 მოსწავლისათვის და ფული კი არ დასდვეს... ბ) ავადმყოფობის საჭიროებისათვის და ფერშლისთვის გარდასწყვიტეს 200 მან., რამდენიც სამმართველომ წარუდგინა, გ) 28 მოსწავლესათვის და სახლების მოსავლელად იყო წარდგენილი ხუთი მოსამსახურე და ერთი მზარეული. კრებამ ორი მოსამსახურე მოაკლო — „სამიც ბევრიაო“. დ) ერთი ზედამხედველი, მასწავლებლობის თანამდებობიდგან თავისუფალი ჯამაგირით 300 მან. კრებამ მიიღო და დაამტკიცა კიდეც, და უკუაგდო ორის მასწავლებლის დაყენება ზედამხედველად, თვითოს 100 მ. ჯამაგირით. ე) ოც-და-ხუთი საჟენი შეშა ოთახების გასათბობად და სამზარეულოსათვის, კრებამ შეამოკლა 20 საჟენად, თითო საჟ. 20 მანეთად. ვ) კანცელარიის საჭიროებისათვის 60 მან. მაგივრად კრებამ მხოლოდ 30 მანეთი დასდვა—„ესეც საკმაოაო!“ ზ), ეკონომს 120 მანეთი წელიწადში. ეს მუხლი შეუცვლელად დაამტკიცა კრებამ. კიდევ განიხილა კრებამ სხვა და სხვა საგნები, რომლების ჩამოთვლას აქ საჭიროდ არა ვრაცხ. როგორც იყო განიხილეს ყველა საგნები და გაათავეს იმ იმედით, რომ სახლები 50 მოსწავლისათვის ვიქირავეთო. მაგრამ რომ შეიტყვეს ბოლოს, რომ შემცდარნი იყვნენ, რადგანაც ფული მხოლოდ 28 მოსწავლისათვის იყო გარდაწყვეტილი, მაშინვე, ფულის მომატების მაგივრად ერთხმად (ორის გარდა) დაიძახეს: 28-სათვის იყოსო... ეს აზრი ყველაზედ უწინ თავსმჯდომარემ შესცვალა.... ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს, რომ მღვდლები თვის გარ-

დაწყვეტილებას გულის ყურს არ ადევნებდნენ. შემდეგ ფულის მოშოვების წყაროების შოვნას შეუდგნენ.

ჯერ სთქვეს, რომ სანთლის ფულის მოგება (ეკლესიებში) გადავსდვათო, მაგრამ მერე ისევ „ფუ“ დაიძახეს: ეს ძრიელ ბევრი ფული შესდგებაო და იქნება ექსარხოსმაც ნება არ მოგვცესო. შემდეგ ბევრის ლაპარაკისა გადასწყვიტეს, რომ მთელი (თელავის სას. ოლქისა) ეკლესიების შემოსავლის მერვედი ნაწილი შევსწიროთო (ვითომც თავის ჯიბიდამ შეუწირავთ!) ორმა მღვდელმა წარმოსთქვა აზრი, რომ თითო მღვდელმა სამ-სამი მანეთი მაინც შევსწიროთო და რაც დააკლდება ეკლესიების ფულით შევავსოთო, მაგრამ ამ კარგს აზრზე არავინ დათანხმდა.... ამ ნაირად შეადგინეს განაჩენი, მეორეს დღეს, 4-ს ღვინობისთვეს ხელი მოაწერეს და გაუგზავნეს ექსარხოსს დასამტკიცებლად იმ აზრით და იმედით, რომ პანსიონი უეჭველად მომავალის წლის იანვრიდამ გაიხსნას. დაამტკიცებს თუ არა ამ განაჩენს ექსარხოსი—არ ვიცი.

ფიცხელაური.

1878 წ. 6-ს ღვინობისთვეს.

---

**კახეთი**, („ივერიის“ კორრესპონდ.). მარიამობისთვის უკანასკნელს რიცხვებში ხმა გავარდა, რომ კახეთში,—ღუბერნატორი მობრძანდებაო, მაგრამ არავინ კი არ იცოდა—რომელს რიცხვში უნდა მობრძანებულიყო იგი, რომ ღირსეულად დახვედროდნენ მას. რასაკვირველია, ღუბერნატორის მობრძანება საინტერესო იყო. რადგანაც, როგორც იციან „ივერიის“ მკითხველებმა, ზოგს კახელს საჩივარი ჰქონდა შეტანილი „ზოგიერთს პირებზე“ მის ბოროტ-მოქმედების თაობაზედ; ზოგიც აპირებდა ჩივილს პირ-და-პირ ღუბერნატორთან.... ისე მობრძანდა ღუბერნატორი თელავში, რომ ვერც კი შეიტყეს; მაგრამ „ქვეყანაზე ნემსიც არ დაიმალებაო,“ „ქვრივს და ობოლს ღმერთი სამჯერ გადმოხედავს;“ ზოგიერთებმა შეიტყეს და თელავში გამოეშურნენ „საჩივარის“ მისართმევად. მაგრამ დახე უბედურებას! აქაც გამოუჩნდნენ წინააღმდეგნი, რომელნიც არ უშვებდნენ მოჩივარს ხალხს ღუბერნატორთან. . . . . . რად უკრძალავდნენ ხალხს მისვლას ღუბერნატორთან თავის „მწუხარის“ და მართალის ხმის ამოსაღებად?... ბევრი ეცადნენ, რომ ხალხი არ მიეშვათ ღუბერნატორამდე, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ანდაზა: „დაღვრილს ერბოს ისე ვერ აიღებ, რომ ცოტა მაინც არ დარჩესო.“ ისე ვერ დაიმაგრეს ხალხი, რომ რამდენსამე მაინც არ მიეცა საჩივარი ღუბერნატორისათვის. ამის გამგონე იმ ზოგიერთ პირთა ბევრი იცეს თავში, მაგრამ რაღას უშველიდნენ, საქმე გათავებული იყო—საჩივრები ღუბერნატორს თვალ-წინ ეწყო... ახლა ჩვენთვისა ვსთქვათ ისე: რა უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ხელს აფარებს პირზე გლეხსა და უყვირის: „ნუ ამოიღებ ხმასა, თორემ ტყავს გაგაძრობო.“ . . . . ღუბერნატორისათვის ზოგს სოფლებშიაც მიურთმევიათ საჩივარი. . . . .

ამ ჟამად, როდესაც ამ სტრიქონებსა ვსწერ, კახეთში რევიზორია მოსული ხსენებულ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებაების გამოსაძიებლად. სოფელ-სოფელ დადის და ცნობებს ჰკრებავს. სანატრელია, რომ რევიზორმა, თ. ერისთვიშვილმა კანონიერად და „ძირიან-ფესვიანად“ გამოიძიოს მინდობილი მისდამი საქმე, „რათა მიენიჭოს თითოეულს მათგანს სასყიდელი მათი.“ ვინც კი დასწრებია გამოძიების დროს სოფელში, ყველა ამბობს, რომ პატივ-ცემული თ. ერისთვიშვილი ისეთნაირად აძლევს კითხვებსაო გლეხებს, რომ ისინი ყოველისფერს დაწვრილებით ეუბნებიანო; ისე ექცევა გლეხებს თ. ერისთვიშვილიო, როგორც „ტოლებსაო.“ და ამისათვის გლეხებიც გულ-წრფელობით ყოველს თავის შეწუხებას შესჩივიან და ეუბნებიანო. ეტყობა, თ, ერისთვიშვილი „მადლიანი“ კაცი ყოფილა და სცოდნია ჩვენის ხალხის მიდრეკილება და ხასიათი, რომ აგრე მოუგია გლეხების გული...

×

კახეთში თითქმის აცივდა. მომეტებულ ნაწილად ღრუბლით არის შემოსილი კახეთის ცა. მთის წვერებს, თოვლით შემოსილს, იშვიათადღა ვხედავთ. ეტყობა ზამთარი კარს მოგვდგომია. ვენახები სულ და ყველგან დაკ-

რიფეს. უჩივიან: „მჟავე ღვინოები დადგაო.“ იქნება არც თავი დაიჭიროს წლევანდელმა ღვინოებმა. ქორწილები, ნათლობები და „წირვები“ განუშორებელის „ტაბლებით“ გაჩაღებულებია კახეთში. ქართველის კაცის ამბავი ხომ იცით — თუ ქვევრში ეგულება რამე — თითქოს ეკალი სჩხვლეტსო — უნდა ჩქარა მოიშოროს თავიდგან. ხმა დავარდნილია ვითომ თელაველს ზოგიერთს სომხებს ყალბი თამასუქები შეუდგენიათ და ტყუილად ართმევენ გლეხებს ფულსაო. თუ მართალია ეს ხმა — ეგდა აკლდათ გლეხებს!.. ერთი ახალი ამბავიც: ზოგიერთი მღვდელი, ბატონებო, „მღვდლობის“ თანამდებობას არა კმაყოფილდება და სხვა რამესაც კიდებს ხელსა, რომ გლეხი უფრო გაღარცვლოს. ს. მაღრანის მღვდელს, ი. ციხისტოვს სოფელში მწერლობა უკისრნია. თუმცა სხვანიც ყოფილან მსურველნი, მაგრამ მ. ციხისტოვს ძალის-ძალად აუღია მწერლის თანამდებობა და ამ ჟამად კიდევაც ასრულებსო. ვაი საწყალს გლეხს მოხელეების და უმეტესად მღვდელ-მწერლის ხელში. ნუ თუ მღვდელს შეუძლიან სოფლის მწერლად ყოფნა?! მე მგონია, რომ კანონები ნებას არ აძლევენ მღვდელს სხვა თანამდებობის აღსრულებისას..

სალხინოელი ქ...

ქ. თელავი, 16 ღვინობისთვეს 78 წ.

---

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შეწევნობისათვის“ გამგებელ კომმიტეტს თხოვნა შეუტანია სასწავლებლის გახსნის თაობაზედ. კომმიტეტს განზრახვა აქვს გახსნას თვისი შკოლა იანვრის დასაწყისშივე, თუ, რასაკვირველია, დროზედ მიუვიდა ნება-რთვა საპასწავლებლო მმართველობისაგან.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

პარიჟის გამოფენა გათავდა და გამომფენელებს დაურიგდათ ჯილდოები. ამ შემთხვევის გამო მაკ-მაგონმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელიც ღირს-შესანიშნავია, რადგანაც მაკ-მაგონის პირით იყო თქმული ურილობაში, რომელიც შესდგებოდა ოცი ათასზედ მეტ სულისაგან და რომელსაც დაესწრნენ უცხო ხალხის მეფენი და პრინცები:

„ბატონებო, მე მოვსულვარ აქ მისთვის, რომ საფრანგეთის სახელით დავურიგო ჯილდოები ყველა ხალხთა გამომფენელებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ჩვენს გამოფენაში. ყველაზედ უწინარეს მადლობა უნდა მოვახსენო პრინცებს და სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მხარის მოცემისათვის და იმ ბრწყინვალებისათვის, რომელიც მიეცა პარიჟის გამოფენას მათთა თანადასწრებით. მადლობა მინდა ვუთხრა აგრეთვე მთავრობებს და ხალხებს მათთა ნდობისთვის ჩვენდამი და იმ ხალხისათვის, რომლთაც მიიღეს მათ მონაწილეობა გამოფენაში, თუ ჩვენ და იმათ გაგვიმართლდა მოლოდინი, ეს უნდა მივაწეროთ საქმის ნიჭიერ მოთავეებს და მათ თანამშრომელებს. საფრანგეთის აღებ-მიცემობამ დიდი გაჭირება გამოიარა, მაგრამ მაინც 1878 წლის გამოფენა არ დაუვარდება უწინდელ გამოფენებს. შევწიროთ მადლობა ღმერთს, რომელმანც ჩვენის ქვეყნის სანუგეშოდ მოგვავლინა ეს დიდებული და მშვიდობიანი სახელოვანობა. ჩვენ მით უფრო კმაყოფილნი ვართ გამოფენით, რომ იგი ნაყოფს მოიღებს საფრანგეთის პატივისათვის. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა თუ რა გაგვიკეთებია ამ შვიდის წლის განმავლობაში, რომელიც შევწირეთ შრომას საფრანგეთის აღდგენისათვის. ეხლა ყველას ჰსწამს ჩვენის კრედიტის სიმკვიდრე, ჩვენი დიდ-ძალი შემძლებლობა, ჩვენის ქალაქების კეთილ-მდგომარეობა, ხალხის მშვიდობიანობა, გაწვრთნილობა და ცოდნა ჩვენის განახლებულის მხედრობისა, და ყველა ეს გვიჩვენებს განწყობილობას, რომელიც, — იმედია, — იქნება მკვიდრი და ნაყოფიერი. მაგრამ ჩვენი დიდ-გულობა ამით არ დაკმაყოფილდება. ჩვენ მოგვემატა ბეჯითობა და წინ დახედვა. გარდა ამისა უნდა დავიმკვიდროთ ჩვენ შორის ერთი-ერთმანეთის თანხმობა, მტკიცე პატივისცემა დაწესებულებისა და კანონებისადმი, და აგრეთვე მხურვალე და უანგარო სიყვარული სამშობლოისადმი.“

რაღა თქმა უნდა, რომ რესპუბლიკელი გაზეთები ძალიან კმაყოფილნი არის ამ სიტყვისა, მეტადრე ეხლა, როდესაც საფრანგეთი სასენატო არჩევანისათვის ემზადება. თვით მაკ-მაგონი საჯაროდ აღიარებს დადგენილის წესისადმი პატივის ცემას, ის მაკ-მაგონი, რომელიც, რასაკვირველია, კონსერვატორთა შორის უპირველესია. რიღას იმედი უნდა ჰქონდეთ რესპუბლიკის სხვა და სხვა მტერთ? ამაოთ ჩაივლის ყველა ამათი მეცადინეობა. აი რას ამბობს მაკ-მაგონის სიტყვის თაობაზედ გამბეტას გაზეთი,

„საფრანგეთის რესპუბლიკა“: „რესპუბლიკის პრეზიდენტის, მარშალ მაკ-მაგონის სიტყვა დღეს ყველა სოფლებში კედლებზედ არის მიკრული და მტკიცედ აგონებს მოვალეობას არჩევანისათვის მოწვეულთ, რომელთაც უღვივით, პრეზიდენტის სიტყვით, მხურვალე და უანგარო სიყვარული მამულისადმი. შვიდის წლის წინ ტიერმა სთქვა: „როდესაც საფრანგეთი მოირჩენს ყველა თვის სატკივარს, როდესაც მისი მხედრობა განახლდება და მისი კრედიტი ხელმეორედ დამკვიდრდება, როდესაც ქუჩებში დაარსდება მშვიდობიანობა, ნუ თუ გგონიათ რომ რესპუბლიკა არ ისარგებლებს ყველა ამით, რაც მის სახელით იქნება გაკეთებული?“ ეს სიტყვები თვით, საქმით გამართლდნენ კიდეც. მაგრამ მაკ-მაგონს მოუნდომებია უკანასკნელად და საჯაროდ კურთხევა საქმისა, რომელიც დაიწყო ტიერმა“. „მომავალ ისტორიკოსისათვის ფრიად ღირს შესანიშნავი იქმნება ამ ორის კაცის ისტორია. ორნივე იყვნენ რესპუბლიკის მტერნი, რომელნიც სახელმწიფოის მოთავედ იყვნენ დაყენებულნი უფრო რესპუბლიკის მტერთა მიერ, ვიდრე მის ერთგულ მოღვაწეთ, და შეხედეთ: ერთი მხურვალის გულით მოღვაწეობს რესპუბლიკის დადგენისათვის, მეორე საჯაროდ აცხადებს მთელის წარმომადგენელთა წინაშე, რომ ამ რესპუბლიკამ დღეის იქით დაფუძნებულმა, დაუბრუნა საფრანგეთს ნდობა, კეთილმდგომარეობა და მხედრობა“.

— მოგეხსენებათ თუ რა გვარი არეულობა დაბადა ავსტრი-ვენგრიაში ბოსნა-ჰერცოგოვინის დაჭერამ ავსტრიის მხედრობის მიერ. ამის თაობაზედ მოძრაობა ასტყდა მომეტებულად ვენგრიაში და ხორვატიაში. ვენგრიელებს არ უნდოდათ ბოსნიის დაპყრობა რადგანაც ავსტრი-ვენგრიის სლავიანებს ძალა მოემატებათო; ხორვატის სლავიანები თხოულობენ ბოსნა-ჰერცოგოვინა ჩვენ შემოგვიერთეთო. ვენგრიელები ისე მტკიცედ დაადგნენ თვის წინააღმდეგობას, რომ იძულებული გახადეს სამინისტრო გადამდგარიყო სამსახურიდამ. ღირს-შესანიშნავია სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ტისსამ, ვენგრიის სამინისტროის მოთავემ, ერთს ყრილობაში,—სიტყვა, რომლითაც მან ცოტად თუ ბევრად დაამშვიდა აღელვებული ვენგრიელნი. „აღმოსავლეთის საქმეშიო, სთქვა ტისსამ, ოთხში ერთს გზას უნდა დავდგომოდითო. ჩვენ შეგვეძლო მხარი მიგვეცა რუსეთისათვის და მივყოლოდით ოსმალეთის დაყოფას. არ დავიკვეხ, რომ დავუშალე განაწილება, რადგანაც განაწილება არავის არ ედვა გულში. ჩვენ შეგვეძლო, კიდევ, ომი გამოგვეცხადა რუსეთისათვის, მაგრამ მე უსათუოდ წინააღუდგებოდი ომიანობის განზრახვა რომ ელიარებინათ. ჩვენ ვერ ვიომებთ ოსმალეთის გულისათვის, რადგანაც ამ შემთხვევაში ომი მოგვიხდებოდა არა მარტო რუსეთთან. რაც უნდა თანაუგრძნოთ ოსმალების გმირულ ამაყობას, მაინც არ შეგვშვენის წავესარჩლოთ ოსმალეთის სახელმწიფოის განწყობილებას. ჩვენ შეგვეძლო, კიდევ, სრულიად არ გვრეოდით საქმეში და დაგვეცადნა თუ რა გამოვა სან-სტეფანოს შერიგებიდამ. ეს ყველაზედ უმჯობესი იქმნებოდა; მაგრამ ამ შემთხვევაში უსათუოდ დაგვაყვედრებდნენ გულ-ხელდაკრეფილნი ხართო და არას აკეთებთო. სან-სტეფანოს მორიგება იმ გვარ წყობას დაადგენდა ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ, რომლის შეცვლა შემდეგში უფრო მომეტებულ ღონისძიებას მოითხოვდა ჩვენგან შემდეგში. ამ მორიგების პირობების ძალით, ოსმალეთს უნდა შერჩენოდა მხოლოდ ის ადგილები, რომელნიც მშვიდობიანობის დროსაც მუდამ აწუხებენ მას. რუსეთს ჰსურდა დაეყო ოსმალეთი ორ ნაწილად და ამ გვარად გამოეცალა მისთვის ყოველი ღონისძიება სიცოცხლისა. ავსტრი-ვენგრია ვერ მოითმენდა ამას და ამიტომაც დაადგა მეოთხე გზას: მისწია რუსეთი და თვითონ იკისრა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დამშვიდება, რათა გაუადვილოს საქმე ოსმალეთს. ამით ავსტრი-ვენგრიამ დაუშალა სლავიანობას გველსავით შემოჰხვეულიყო ჩვენს ქვეყანას. ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში თავზედ ფეხი დავაჭირეთ ამ გველს, და ოსმალეთს შეუძლიან განახლდეს თუ კიდევ შერჩენია სიცოცხლის ძალა. თვითონ ოსმალეთის ბრალია თუ არავითარი პირ-შეკრულობა არ მოხერხდა ოსმალეთთან. ამისათვის ბოსნა-ჰერცოგოვინა დაჭერილ იქმნა უპირ-შეკრულობით. საქმე იმაში კი არ არის თუ როგორ დაუჯდა მთავრობას ეს დაჭერა, არამედ იმაში სწორეა თუ არა მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმეში.“

ამ გვარად, თვით ტისსის სიტყვით ავსტრიამ ბოსნიას და ჰერცოგოვინას სლავიანთა დასუსტებისათვის იპყრობს. სლავიანებს კი უნდათ ეს დაპყრობა—გაძლიერდებითო.

---

## მოკლე შენიშვნები სამზღვარ-გარეთიდამ

21 ივლისს, სამ საათზე ჰაერს დილის სიგრილე აღარა ჰქონდა და ცაც მოწმენდილი იყო. მზეს თავისი სხივები მოფენილი ჰქონდა აქაურ არე-მარეზე და ყველაფერს სიცხის ბეჭედი აჯდა. დილით მე პალტოშიაც მციოდა და ეხლა სერთუკითაც კი მიჭირდებოდა სიარული. პალტო კი მხარზე მქონდა გადაგდებული. ჯერეთ ისევ სოფლიდამ არ გამოვსულვიყავი, რომ გზაში შემომხვდა სამნე —„პოვოსკა", რომელშიაც, წარმოიდგინეთ, ება მხოლოდ ერთად ერთი ახმახი ტანის ხარი და თავისუფლად მოჰქონდა მშვენივრად გაზეპილ გზაზე ახლა როგორ ება? ჩვენში ხომ უღელს კისერზე უკეთებენ საქონელს და იმ აზრისანი არიან, რომ ხარს იტყვით თუ კამეჩსა ორივეს ქედში აქვს ძალაო, აქ კი სხვა აზრისანი ყოფილან და ამისთვის მოხსენებულ ხარს ზედ თავზე ჰქონდა გაკეთებული უღელი რქებთან და ამოდენა ძნის „პოვოსკა" ანუ ურემი მოჰქონდა. საიდამ მოგაქვს ეგ ძნა? ვკითხე მე პატრონს. „მინდვრიდამ". განა არ უჭირდება მაგ ერთს ხარს აგრე დადებულის პოღოსკის ზიდვა? რათ გაუჭირდება; ამისთანა გზაზე შეიძლება კაცმა ხელით გააგოროს ეს სამნე „პოვოსკა". მომიგო მან პასუხად.

როგორც გამოველი სოფლიდამ, გზის ორივე მხარეზე დამხვდა ვაზის ვენახების რიგი. ეს ვენახები იმ ნაირათვე იყო შემუშავებული, როგორც გოფმანის ვენახი. აქაც ვერ მოჰკრავდით თვალს რომელსამე ხეხილს, ანუ ხეივან, ანუ კიდევ შუა ვაზებში მაღლარობას. ამ ვენახების რიგი რომ გათავდა, დაიწყო მერე ხეხილების რიგი, რომლებიც მშვენივრად მისდევენ გზის ორივე ნაპირს. ხეხილების ჩრდილში ნელ-ნელა მივდიოდი და ერთბაშად ერთი ხეხილის ქვეშ ანუ ჩრდილში თვალი შევასწარ ათიოდ მუშას და განვიზრახე იმათთან ლაპარაკი. ექვსიოდ წამის შემდეგ მე იმათ მართლაც ველაპარაკებოდი. უნდა გითხრათ, რომა ამ ათიოდ მუშაში ოთხი დედა-კაცი ერია და დანარჩენი კი კაცები იყვნენ.—ეს ყანა უთუოდ რომელსამე თქვენგანს ეკუთნის? ვკითხე მე იმათ ლაპარაკში. „არა. სხვისაა და ჩვენ აქ მხოლოდ მუშები ვართ". ეს დედა-კაცები? „ესენიც მუშები არიან". ერთმა ხუმარა მუშამ დაატანა: „უამათოთ ჩვენ არსად ვარგივართ". დედა-კაცებმა ხარხარი დაიწყეს. მაგას რასა სვამთ აგრე ბეჯითად?—„ღვინოს, თუ გნებავთ მიირთვით" მითხრა მეღვინემ ეს სიტყვა და კიდევაც დიდი ხელადიდამ დამისხა. მე გასაშინჯავათ ჩამოვართვი ღვინით სავსე ჭიქა და სრულებით იმერული ანუ ქართლური თეთრი ღვინო მომაგონა ამ ღვინომა. თქვენ თვითონ იყიდდით ამ ღვინოს! „არა. ამ ყანის პატრონმა გამოგვიგზავნა" თქვენგანს კი არავის არა აქვს ვენახი, ანუ სახნავი მიწები? „ორის გარდა თითქმის არავის", და ამ ორზე მიმითითეს. მაშ თქვენ მამულს მოსჭარბებიხარ, რომ აქ მუშაობთ? ვუთხარი მე ამ ორ მუშას. „ჩვენი მამული ძრიელ მცირეა და სრულებით არ გვყოფნის; ქორფა შვილები კი ბევრი გვახვევია:" ამ ლაპარაკის შემდეგ, მე ავიღე ხელში ცელი და ვუთხარი კიდევ მუშებს საზოგადოდ: რათ ცელავთ, რატომ არა მკით? „ცელვას რა სჯობია? ამ ცელს ისე ავაღებინებ ხოლმე ყანას, რომ ერთ თავთავს არ გავუშვებ ხოლმე ძირს და ნამგალს მაგოდნობა სად შეუძლიან:" მიპასუხა ერთმა მუშამ და კიდევაც გამომართვა ცელი, რომ საქმით დაემტკიცებინა თავის სიტყვა. ეს მუშა შეუდგა ცელვას და მართლაც ცელს მშვენივრად აღებინებდა ხელაურს. აქ უნდა შევნიშნო, რომ თვით ცელიც კარგად იყო მოწყობილი. იმ ალაგა, სადაც ცელი მოკაკულია გაკეთებული ჰქონდა საცერის მგზავსი ნახევარ რგოლი და მოშლუჭამდა ხოლმე ყანას ცელვის დროს, ანუ ამაზე მიწვებოდა ხოლმე ყანა ცელვის დროს. ცოტა ხნის შემდეგ სხვა მუშებმაც წაავლეს ხელი თავთავიანთ ცელებს და გაჰყვნენ ყანის კვალს, დედა-კაცები კიდევ მოკლე ნამგლებით—უფრო სათიბებით შეუდგნენ ხელეურების ერთად მოგროვებას. „ხედავ როგორ ვცელავ,—ერთ თავთავს კი არ ვუშვებთ და." დამიძახა ერთმა მუშამა „მშვენივრად, მშვენივრად," მივაძახე და კიდევაც გამოვეთხოვე. ავედი ისევ გზაზე. დავუწყე არე-მარეს ცქერა, გაშლილ და მშვენივრად შემუშავებულ მიწებში და ყანებში ბევრგან დავინახე კიდევ მუშები, მაგრამ ის ხრიანცელი, ის კიჟინა, ის მაღალი ხმით ხარხარი რასაც კაცი ხედავს და ესმის საქართველოში მკის დროს, აქ არსად ისმოდა. ყველგან სიჩუმე სუფევდა. გავუდექი ისევ ჩემ გზას და კაი მანძილი რომ გავიარე, შორიდამ დავინახე, რომ ერთი კაცი მიწას ხნავდა და გუთანში ება ორი ზორბა ცხენი მე ამისაკენ გავწიე, და როგორც გამოვიდა მიწის თავში, ანუ ხნულის თავში, მე კიდეც გამარჯობა დავუძახე. იმან ღიმილით პასუხი მომცა და კიდეც შეაყენა ცხენები. ეს გუთნის-დედა მოყვანილი ტანის ახალ-გაზდა ვაჟ-კაცი იყო

და რაღაც პატიოსნება იხატებოდა ამის სახეზე. თქვენ მგ თქვენი გუთანი უნდა გამაშინჯოთ კარგად. „გაშინჯეთ, თუ კი აგრე საინტერესოა თქვენთვის“ — მიპასუხა და ცხენებს უკან დააწევინა. ეს გუთანი მსუბუქი გუთანი იყო, ერთი შეხედულობით მოაგონებდა კაცს ქართულ გუთანს; სახნავი ცოტა რა რომ უფრო წვეტიანი ჰქონდა და ხეზე არ იყო წაცმული; ამას კაცი ჭახრაკით ადვილათ მიატრიალ-მოატრიალებდა. საკვეთელაც ისე ახმახი არ ჰქონდა, როგორც ქართულ გუთანს აქვს. თვლებს გარეშემო შემორტყმული ჰქონდა რკინის რგოლი. ორი ცხენი რათ გიბია, განა მძიმეა ეს გუთანი? „არა. ხშირად ერთი ცხენითაც ვხნავ ხოლმე. გუშინ ცოტა მოჭარბებულად ვამუშავე ეს ცხენები და იმისათვის დღეს ვეღარ გავბედე ერთი ცხენით ხვნა“: ხნული რომ გავშინჯე კიდევ მივე კითხვა: ასე მაღლა რათ ხნავთ, განა ამ გუთანს არ შეუძლიან ღრმად მოხნას? „როგორ არ შეუძლიან, მაგრამ აქ ამაზე ღრმად მოხვნა საჭირო არ არის. აი მიცქირეთ, რა ღრმად მოვახვნევინო“ და კიდევაც მოატრიალა ცხენები მერე სახნავი ძირ დაუშვა ჭახრაკით — ერთის სიტყვით მომართა გუთანი და გააწევინა ცხენებს. მართლაც ღრმათ წაალებინა ხნული; მტკაველ-ნახევარზე კი ხნავდა და მეტი რა უნდოდა. ეხლა კი მჯერა რომ თქვენ გუთანს ღრმად შეუძლიან ხვნა და ახლა ეს მითხარით: რომელი ქვეყნისაა ეს გუთანი? „ეს ნამდვილი ნემეცური გუთანია და არც ძვირია. ამაში მიცემული სულ ოცი მარკა. საბოსტნე მიწის სახნავი გუთანი ანუ კავი ხომ უფრო იაფია. — თქვენი იქნება ეს გუთანიც და ეს ცხენებიც? „არა“, ამოოხვრით მითხრა, — „მინდა კი რომ ჩემი იყოს, მაგრამ არ არის ჩემი. მე სხვის მოჯამაგირე ვარ“: დიდი ჯამაგირი გექნებათ? — „მაგდენი არაფერი. თვეში მაძლევს ჩემი ალა სულ 25 მარკს“: კარგია სოფლად ამოგირჩევია მუშაობა. — „ისევ სოფლათ სჯობია, ვიდრე ქალაქ ადგილას ქარხანაში მუშაობა. მე ეხლა აქ ჯამაგირს ცალკე ვიღებ და ამას გარდა სმა ჭამა ალისაა. მე შემიძლიან ცოტაოდენი ფული მოვაგროვო და სადმე მიწა ვიყიდო. ამას კიდევაც მოვახერხებ და ქარხანაში რომ მემუშავნა, მაშინ კი ვერას დროს ვერ მოვახერხებდი“: ამ ახალგაზდა უმამულო გლეხს ნათლად ეტყობოდა როგორც ლაპარაკში, ისე პირისახეზე, რომ ამას ბევრჯელ ძალი გაჭკრთობის ფიქრის გამო თავის მდგომარეობაზე. მე მოვუწონე, რასაკვირველია, ამას განზრახვა და კიდევაც გამოვეთხოვე.

ავედი ისევ გზაზე და ნახევარ საათის შემდეგ მე მივედი ერთ სოფელში, სადაც სასტუმროში ხუთმეტ მინუტამდინ დავისვენე და „ნემეცურის სასმელით“ პივით გული გავიგრილე, დასვენების შემდეგ გავუდექი ისევ გზას. როგორც კი გამოველ ქალაქის მგზავსი სოფლიდამ, ამის პირზე დამხვდა დიდი თლილი ქვით ნაშენი სახსოვარი, რომლის გვერდზედაც იყო წარწერილი გვარები და სახელები იმ მხედართა, რომლებიც ომის დროს ნემცების და ფრანცუზების შორის (1870 წ.) დაჭრილობით დახოცილან. მე ამ სახსოვარს დავუწყე ცქერა და ამ ცქერაში რომ გავერთე, ერთბაშათ ხმა შემომესმა: „რას შესცქერახართ აგრე, არ იცი რა არის?“ მივიხედე უკან და შევაჭყიტე თვალები ერთ ლურჯ პერანგიან მოხუცებულ მაღალ კაცს, რომელიც, როგორც ბოლოს შევიტყე თურმე 87 წლისწადია, რაც დედა-მიწის ზურგზე დაიარება. როგორ არ ვიცი „ო! აბა მაგის ქვეშ მდებარებენ ჩვენი გმირები, რომლებმაც თავი შესწირეს მამულს ომის დროს ფრანცუზებთან (ეს უკანასკნელი სიტყვა ძრიელ კაფიერათ გამოსთქვა). ეგ ამბავიც ვიცი. „რასაკვირველია გეცოდინებათ. წამოდით, თუ თქვენც აქეთ მოდიხართ“ გაიშვირა ჯოხი ვისბადენის გზისკენ. — სწორეთ მეც მანდეთ მოვდივარ — ვუპასუხე მე იმას და ერთათ გავუდექით გზას. 87 წლის, რასაკვირველია, ეს მაღალი ტანის გლეხი კაცი წელში მოკხარა, მაგრამ მაინც ისე მიანაბიჯებდა, რომ ბევრ ყმაწვილ კაცს გაუჭირდებოდა ამას ფეხ-და-ფეხ მიჰყოლოდა. რაღა ლაპარაკი უნდოდა, რომ ამ ახირებულ მოხუცებულ კაცთან სიარული მე ხეირს არ დამაყრიდა, მაგრამ მაინც გაი-ვაგლახით მივსდევდი. „დიდი ხანია მგზავრობთ ნემცების ქვეყანაში და ან როდის გამოხვედით ინგლისიდამ?“ მეორე თვეა, რაც გერმანიაში ვმგზავრობ, მაგრამ ინგლისიდამ კი არა ვარ. „მაშ ინგლისელი არა ხართ?“ არა. მაშ საიდამა ხართ? ეს კითხვა რომ მომცა, შედგა და პირდაპირ შემომხედა. „საფრანგეთიდამ ხომ არა ხართ?“ არა. მე რუსეთიდამ ვარ. „ო, ო, ო“: გაგრძელებით და კმაყოფილებით გამოსთქვა. „ეგ სხვა არის, რუსეთიდამაა! რუსეთის ხემწიფისა დიდი მეგობარია ჩვენი ხემწიფე ვილჰელმი და დიდი მეგობრობაც გაუწია ოსმალეთთან ომის დროს“: თქვენ საიდამ იცით ეგ? „როგორ თუ საიდამ? გაზეთებიდამ და ეს ყველამაც იცის. „აი ეხლა ბერლინში როგორ გათავდა საქმე! ეს სულ ჩვენი ხემწიფის და თქვენი ხემწიფის მე-

გობრობის წყალობაა. ეს ჩემი თანა მოგზაური იმ ნაირათ ლაპარაკობდა პოლიტიკურ საგნებზე, რომ კაცს ეგონებოდა სადღაც დიპლომატიური მაღალი სასწავლებელი გაუთავებიაო და ამ ჟამად სწორედ მიწერ-მოწერა აქვს დიპლომატებთანაო. — თუმცა მინდოდა ეს ახირებული კაცი ბევრი მელაპარაკებინა, მაგრამ ამისმა სიჩქარით სიარულმა გული გამიწვრილა და ვფიქრობდი, თუ როგორ ავსხლეტოდი. ამ ფიქრში რომ ვიყავი, ჩემ ბედზე, ერთი პატარა ბილიკიდამ შარა-გზაზე ამოვიდა ჩვენ პირდაპირ ერთი დარგვალებული და პირ მოპარსული შუა ხნის კაცი, რომელიც ჩემი მემუსაიფეს ნაცნობი გამოჩნდა. ამათ რომ ერთი ერთმანეთს ლაპარაკი დაუწყეს, მე ცოტ-ცოტაობით უკან დავრჩი და ბოლოს ერთ მაღალ ადგილზე კიდევაც ჩამოვჯექი. მოხუცებულმა, მაგრამ ყოჩაღმა მოსიარულემ შემოიხედა უკან, დამიქნია ხელი, მაგრამ მე ვეღარ გავბედე იმასთან სიარული.

მაღლობზე კარგახან ვიჯექი და როცა საკმაოდ დავისვენე, გავუდექი ისევ გზას და დავეწიე ერთ თოთხმეტის წლის სუფთად ჩაცმულ ყმაწვილს, რომელსაც სოფლიდამ ხილი მოჰქონდა. ამასაც ცოტა რა რომ უჭირდებოდა ფეხით სიარული და ამისათვის ნელ ნელა წავედით. ბოლოს გადავდექით მე და ეს ყმაწვილი მაღლობზე და წინ გაგვეშალა მშვენიერი სურათი: მაღალი ხეების ბაღებიდამა და პარკებიდამა გამოიცქირებოდნენ თეთრად გალესილი მაღალი სახლები და ამათ ზემოდამ დასცქეროდნენ გოტიური შენობის ეკლესიების გუმბათები; ერთად-ერთი ვიზანტიური შენობის ეკლესიის ოქროთი დაფერილი გუმბათი. კიდევ ტყიანი ბორცვიდამ ბრწყინავდა და თავის არე-მარეს ამშვენიერებდა*). ზოგიერთი ბორცვების გვერდებზე ანუ მხარეებზე დაბალი აქაურათ შემუშავებული ვაზი შეფენილი იყო და მზის ჩავარდნის დროს მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა. ყველა ამას რგოლივით შემორტყმული ჰქონდა ტყით შემოსილი ბორცვები. ეს გახლდათ ვისბადენი. სადაც ათი წამის შემდეგ ქუჩა-ქუჩა დავდიოდი და ვეძებდი ჩემთვის კარგს და იაფის ფასის ოთახს.

ქართველი მგზავრი.

---

*) ეს მუსხების ეკლესიაა.

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### X

მირიამს იმედმა არ უმტყუნა. მაშინ, როდესაც მირიამი ვახშმისათვის ტრიალებდა, გერმასმა გააღო ალაყაფის კარები და შემოვიდა ეზოში. სენატორს მოუტანა ჯიხვი, უნდოდა ამით მადლობა გადეხადნა წამლისათვის, რომელმაც ძალიან არგო მის მამასა.

თქმა არ უნდა რომ ეგ ძღვენი ხვალაც შეეძლო მოეტანა, იმიტომ-რომ საჩქარო არა იყო რა, მაგრამ მთაში გერმასს გული არ უდგებოდა და სულ ძირს სოფლისაკენ იწევდა. მარტო მადლობის სათქმელად კი არ მოისწრაფიდა სოფლისაკენ,— არა. მას არც შეეძლო და არც უნდოდა თავისი-თავი მოეტყუებინა: იმან კარგად იცოდა, რომ სირონას ნახვის სურვილმა გამოიტაცა; სირონას ხმის გაგება ჰსწყუროდა. პირველ ნახვის შემდეგ ბევრჯერ კიდევ შეხვედრიან ერთმანეთს სალაპარაკოდ. გერმასი სირონას სახლშიაც ჰსწვევია — ხან მამისათვის ღვინის სათხოვნელად, ხან ცარიელი ბოთლები უკან მოუტანია. ერთხელ, როცა ღვინოს ასხამდა ბოთლში, სირონას თეთრი ხელი მოხვდა მის ხელს და სირონამ ჰკითხა კიდეც, ხომ არ შიშობ რასმეო, რომ შენი ღონიერი ხელი აგიკანკალდაო თითქო ელდა რამ გეცაო. ეს ამბავი თავიდამ აღარ გამოსვლია გერმასსა, სულ ახსოვდა.

რამოდენადაც მოუახლოვდა პეტრეს სახლს, იმოდენად უფრო ძლიერ დაუწყო ცემა გულმა. ალაყაფის კარებში რამდენიმე ხანს შეფერხდა, რომ გული მოიცეს და დალაგებულ სიტყვა-პასუხისათვის მოემზადოს, თორემ ასეთნაირად აღელვებული იყო, რომ არ იცოდა რა ექმნა. ბოლოს გააღო ალაყაფის კარი და შევიდა ეზოში. ძაღლებმა ყეფა დაიწყეს, რა წამსაც დირეზედ ფეხი გადაადგა, მაგრამ მალე იცნეს და გაჩუმდნენ.

ხომ მოჰქონდა და არა მიჰქონდა რა, მაშ რაღად ფრთხოდა, როგორც ქურდი, როცა თვალი მოჰკრა ჯერ დიდს სახლს მთვარის შუქით განათებულს და მერმე სირონას სადგურს, რომლის განიერი ჩრდილი გადაჰფენოდა მოკირწყლულს ეზოსა. ეზოში სულიერი არავინ იყო. პეტრე და მისი სახლობა ვახშამზედ ისხდნენ, როგორც ჰსჩანდა, იმიტომ-რომ მწვადის სუნი მოედინა გერმასსა.

---

*) «ივერია» № 41. 1878 წლისა.

„მე ამ ვახშამზედ მეტი სტუმარი ვიქნებიო“ გულში ჰსთქვა გერმასმა და ერთის მხრიდამ მეორეზედ გადმოიღო ჯიხვი, თვალი კი სირონას ფანჯრებისკენ ეჭირა. ფანჯრები ნათელი არა ჰსჩანდა და მაინც კიდევ დაინახა რაღაცა თეთრი საგანი, რომელმაც ჯადოსავით მიიზიდა მისი თვალი. იმ თეთრმა საგანმა ტოკვა დაიწყო და იქავე სირონას პატარა გოშია ყეფას მოჰყვა. ეს უსათუოდ სირონაა, სირონა. სირონას სახე წარმოუდგა სრულის მშვენებითა და მოაგონდა, რომ ეხლა სულ მარტოდ მარტოაო, რადგანაც გზაზედ შეხვდა ქმარი, სირონასი ფებიცი, მიმავალი სალოცავად თავის ღმერთას მიტრისა. აქამომდე ღვთის მოშიში ჭაბუკი, რომელიცა მარხულობით და გვემითა იმორჩილებდა თავის ხორციელობას და თავიდამ იგდებდა მაცდურს ფიქრებს, ამ უკანასკნელს დღეებში სრულიად გამოიცვალა.

თუმცა მამის მორჩილებას არ უღალატა და ისევ მთაში ჰსცხოვრებდა, მაგრამ გულში კი გადიწყვიტა, რომ არასფერს ამ წუთის სოფლისას არამც თუ არ მოერიდება, არამედ მიჰყვება კიდეც.

სნეულის მამის მოვლა მიაჩემა რა ღვთის მოშიშს პავლეს, თვითონ დარონინებდა კლდეებში მთელი დღე. ხან დისკოს სროლაში ვარჯიშობდა, ხან ჯიხვზედ ნადირობდა და ზოგჯერ კიდევ გულ მილეული ჩავიდოდა სოფელში ხოლმე, გარს უვლიდა პეტრეს სახლს აგები სირონა დავინახო თვალით მაინცაო. ეხლა კი, როცა დარწმუნებული იყო, რომ სირონა მარტოა, რაღაც უძლეველის ძალი გული სირონასაკენ ეწეოდა. თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა მისგან, ხოლო ერთში კი არ ეჭვობდა, — ეგ იმაში, რომ ნეტავი ერთხელ კიდევ მეღირსოსო იმისი ხელი ჩემს ხელს შეეხოსო.

გერმასი იმას აღარ დაჰსდევდა, ცოდვაა ეგა, თუ არა! რაც ამ უკანასკნელს დღეებში ჩავიდინეო, ხომ მაინც ცოდვაა და ცოდვაო, ამბობდა გულში: ისიც ხომ ცოდვაა, რომ ყოველი ჩემი ფიქრი, სული და გული ამ წუთის სოფლისკენ მიიზიდებაო. დეე ცოდვა იყოსო: ოღონდ ჩემს საწადელს მივხვდეო, და კისრად ამიღია ეგ ცოდვებიო. გაიფიქრა ეს და შიშით და კრთომით მივიდა მშვენიერის ქალის ფანჯარასთან. სირონამ მაშინვე იცნო მთვარის შუქზედ.

— გერმას, შენა ხარ? მოესმა ყმაწვილს კაცს.

რაღაც ელდამ აიტაცა გერმასი ამ სიტყვებზედ. ერთს ადგილას გაჩერდა, როგორც გაშეშებული, მხარიდამ ჯიხვი გადმოუვარდა, გულმა თითქო ფეთქა შეჰსწყვიტაო. ხელახლად მოესმა ტკბილი ქალური ხმა:

— გერმას, შენა ხარ? რამ მოგიყვანა აქ ამ შუაღამისას?

გერმასმა პასუხად რაღაცა უთავ-ბოლო სიტყვები დაილუღლუღა.

— მე არ მესმის რას ამბობ ახლო მოდი, უთხრა სირონამ.

თითქო რაღაცამ ძალა დაატანაო, წინ წადგა და სირონას ფანჯრის ჩრდილში გაჩერდა.

გოშიამ ხელახლად ყეფა დაიწყო. სირონამ დააჩუმა და ჰკითხა გერმას მამისს ამბავი, ღვინო ხომ არ არის კიდევ საჭიროო. გერმასმა უპასუხა, რომ შენ კეთილი ხარ, კეთილი, როგორც ანგელოზიო; მამა-ჩემიო თან-და-თან უკეთ ხდებაო, ღვინო უმისოდაც ბევრი წაგვიღიაო.

მათი საუბარი უბრყვილო და უმანკო იყო, მთელს ქვეყანას შეეძლო ყური ეგდო, მაგრამ მაინც კი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ასე გონია საიდუმლო რამ აქვთო.

— ცოტა მოითმინე, უთხრა ქალმა და გერმასს თვალიდამ მიეფარა. ისევ მალე მოპრუნდა და უთხრა წყნარის და ნაღვლიანის ხმით: მე მინდოდა აქ ოთახში შემომეყვანე, მაგრამ ფებიცის კარები დაუკეტნია. მე აქ სულ მარტოდ-მარტო ვარ. დამიჭი ბოთლი, რომ ფანჯრიდამ ღვინო ჩავისხა.

ამ სიტყვებზედ დაიხარა და ხელში საღვინე აიღო ადგილიდამ. თუმცა კარგა ღონე ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საღვინის აღება უმძიმდა.

— ეს საღვინე ჩემთვის მეტად მძიმეა, ჰსთქვა მან და ამოიქვნეშა. გერმასმა ფანჯრისაკენ ხელი გაიწოდა.. კიდევ ხელი ხელს მოახვედრა და ხელახლად იგრძნო ის ნეტარი — ჟრჟოლა, რომელსაცა ნატრობდა დღე და ღამ მას აქედ, რაც პირველად მოუხდა ამ გვარივე ამბავი.

პირ-და-პირ სახლიდამ ხმაურობა მოისმა. სირონა მიხვდა, რომ მოსამსახურეები ვახშმიდამ ადგნენო. შეშინდა და ელდა ცემულსავით ანიშნა სენატორის სახლის კარი და დაიძახა:

— ღვთის გულისათვის! აქედ მოდიან და თუ შენ აქ დაგინახეს, მე დავიღუპები.

გერმასმა ყური დაუგდო ხმაურობას, სწრაფვად თვალი გადაავლო ეზოს და ნახა რომ ვერსაით ვერ დაემალება, უფრო ახლო და ახლო მომავალს მსახურებს პეტ-

რესას. მაშინ ბმანების ხმით დაუძახა: სირონას უკან მიდეგ! დაჰკრა ფეხი და შეხტა ფანჯრიდამ სირონას ოთახში. იმავე წამს მსახურებიც გამოვიდნენ ეზოში. ყველაზედ წინ მირიამი მოდიოდა და იმედ გადაწყვეტილსავით ათვალიერებდა გარეშემოს.

ვისაც ეძებდა აქ არ იყო; ამაზედ კი დარწმუნებული იყო, რომ გერმასი ეზოში შემოვიდა და რა იქნა, ის კი ვერ გაიგო. ზოგი მოსამსახურე თავლაში წავიდა, ზოგი ალაყაფის კარებს გარედ გავიდა ღამის სიგრილეში სულის მოსაბრუნებლად. მარტო მირიამიღა დარჩა ეზოში და ისეთის გულ-მოდგინებით აქედ-იქით იცქირებოდა, თითქო ძვირფასი რამ დაეკარგოს და იმას ეძებსო. წისქვილის ქვებიც კი დასინჯა, ფანჩატურს ქვეშაც შეიხედა. ბოლოს შედგა და პატარა ხელები მუშტებათ შეიკუმშა. მივარდა სირონას ფანჯარას და ჩრდილში აიტუზა. ფანჯარის წინ მოკლული ჯიხვი ეგდო. შიშველა ფეხით დაუწყო შინჯვა, მაგრამ უეცრად შეხტა შეშინებული, სწრაფად მოაშორა ფეხი; თურმე ფეხი მოახვედრა ისრის ნაკრავს და სისხლი მოეცხო. გულმა შეუტყო, რომ ეს გერმასს მოუკლავს, აქ დაუგდია და თითონაც აქ სადმეა.

ეხლა კი გამოიცნო სად უნდა ყოფილიყო გერმასი, უნდოდა ძალად გაეცინა მაინც, რადგანაც ეგონა, რომ ცრემლით ვერ გაიქრობდა მეტად მწვავს ტკივილს, რომელიც მან იგრძნო მთელს აგებულებაში. გონება კი მაინც შერჩა. „ისინი ბნელაში არიან, ამბობდა თავისთავად: მე რომ ფანჯარასთან ახლო მივიდე და ყური დავუგდო, დამინახვენ. არ იქნება კი არ შევიტყო, რას აკეთებენ ორნივ ერთად.“

წამოვიდა აქედამ და გამალებული წავიდა მოსამსახურეების სადგომისაკენ. რამდენსამე წუთზე წისქვილის ქვებზედ გადავიდა და იქიდამ ჩრდილში კედელ-კედელ ცოცვით მიეპარა სირონას ფანჯარას და გაჩერდა. გული ასე ძლიერ უცემდა, რომ უშლიდა ლაპარაკის გაგებას. ლაპარაკის ხმა კი ესმოდა და ცხადად იცნო ხმა გერმასისა. ხმა იმ ოთახიდამ გამოდიოდა, რომელიც ქუჩის პირისკენ იყო. ეჭვი აღარ ჰქონდა, რომ გერმასი იქა ზის სირონასთან. მაშ ფეხზედ რომ დავდგე და შევიხედოთ, ვერ დამინახვენო, იფიქრა.

აქეთ ოთახს შუა და იქითას შუა კარა მიხურული იყო, სინათლე კი, რომელიც კარებში გამოკრთოდა, ამტკიცებდა, რომ იმათ სანთელი უნთიათ. მირიამმა დააპირა თუ არა, რომ ფანჯრიდამ ოთახში გადასულიყო, მოესმა ჩარიანი სიცილი სირონასი. თვალ-წინ წარმოუდგა სახე რაყიფის ქალისა, სახე ბრწყინვალე და სხივ მოსხმული, როგორც იმ დილას, როცა გერმასი ტფიალებით და აღტაცებით შეჰხაროდა და ჭვრეტით ვერა ძღებოდა. აბა ეხლა? ეხლა, ვინ იცის, იქნება გერმასი მის ფეხთა წინაშე წამოწოლილა, სათუთო სიტყვებით ეტრფიალება, ეუბნება თავის სიყვარულს, უწვდის ხელს მოსახვევად, ის კი ზის და იცინის! აი ხელახლად ისევ ჩაიკასკასა სირონამ! რაღაზედ ჩაჩუმდნენ უეცრად? უეჭველად სირონამ თავისი აღის ფერი ტუჩები საკოცნელად მიჰსცა. ვიშ, ვიშ! ამას ეჭვი არ უნდა, არა! ფიქრობს მირიამი: დახე, გერმასმა კი არ მოარიდა თავი, მე კი მაშინ წყაროსთან ზიზღით გამომეცალა ხელიდამ და სამუდამოდ ზურგი შემომაქცია.

ცივმა ოფლმა დაასხა მირიამს შუბლზედ როგორც ჭკუიდამ შეშლილი მოჰკიდა თავის შავის თმის გლეჯას; გაფითრებულ ბაგეთაგან აღმოუხდა საზარელი კვნესის ხმა, თითქო გაავთრებულის ნადირის ხმააო. თვალის დახამხამების უმალ გავარდა თავლის წინ ალაყაფის კარებში, საიდამაც საქონელს ერეკებოდნენ ხოლმე და გონება მიხდილსავით გაწკრიალდა მთებში იმ ღვიმესაკენ, სადაც სირონას ქმარი ფებიცი იმ ჟამად სალოცავად იმყოფებოდა.

სირონამ ყური მოჰკრა მირიამის ხმას.

— ეს რა ამბავია? ჰკითხა შეშინებულმა სირონამ გერმასს, რომელიც ამ ჟამად მის წინ იდგა რომაელის მხედრის ტანისამოსით მორთული. თუმცა ჯერ ამ გვარს ტანისამოსს ვერ იშვნევდა, მაგრამ თვითონ კი ისეთი მშვენიერი სანახაობა ჰქონდა, როგორც თვით ბრძოლის ღმერთსა.

— ეგ ბუის ხმა იყო, უპასუხა გერმასმა ახლა, როცა იქნება მამა-ჩემმა ხომ უნდა მითხრას ჩემის შთამომავლობის ამბავი მაშინ წავალ ვიზანტიაში, მაგ ახალს რომში და ვეტყვი იმპერატორს: „მე გხლებივარ აქ, რომ თავი დავდო შენთვის შენთა მხედართაებრ.“

— აი ეხლა შენ მაგით უფრო მომწონხარ! უთხრა სირონამ.

— თუ ეგ მართალია, უპასუხა გერმასმა: დამიმტკიცე. ნება მომეც ერთხელ მაინც ბაგით დავაკვდე მაგ შენს ოქროს ფერს და ბრწყინვალე თმებს. შენ მშვენიერი ხარ და ტურფა, როგორც ყვავილი, მხიარული ხარ

და ბრწყინვალე, როგორც ფრინველი და ამასთანავე შენ ისეთი ჯიქი და გულ-ქვა ხარ, როგორც ეს ჩვენი კლდეები. მე ვიღუპვი ნატვრით, რომ ერთხელ მაინც მეღირსოს შენი კოცნა და თუ შენ ნებას არ მომცემ, მე ისე გავხდები, ისე ღონე მიმეხდება, რომ ამ ოთახიდამ გასვლაც არ შემეძლება, არამც თუ საომრად წასვლა.

— ერთხელ რომ გაკოცნინო, კასკასებდა სირონა: ხომ მეორედაც მოგინდება, მერმე მესამედ და ბოლოს ის მოგივა, რომ მე ვეღარ მომშორდები და ვეღარც წასვალ აქედამ. არა, არა, ჩემო კარგო! მე და შენ შუა მე უფრო ჩემს გონებაზედ ვარ. ისა ჯობია შენ ა იმ ოთახში შედი, მე ფანჯარიდამ გადავიხედამ, თუ ქუჩაში არავინ არის, ფანჯრიდამ მშვიდობით გადადი ქუჩაზედ და შენს გზაზედ წადი გესმის, მე ესე მინდა!

გერმასმა გულით ამოიოხრა და დაემორჩილა. სირონამ ფანჯრიდამ გადიხედა. სწორედ ამ დროს ბიჭები, გარედ ყოფილნი, ეზოში შემოდიოდნენ. ტკბილის სიტყვით ყველანი მოიკითხა და იმათაც სიყვარულით მადლი გადუხადეს. ყველას უყვარდა ეს მშვენიერი ქალი, რადგანაც თავის დღეში არავის არას აწყენინებდა და ყველას უალერსებდა ხოლმე ვინც უნდა ყოფილიყო.

გერმასმა უეცრად ისკუპა და გადახტა ფანჯრიდამ, მერე ხელში ხელი ჰსტაცა, მიიკრა ცეცხლ მოკიდებულს ტუჩებზედ და ზედ დააკვდა, სირონა არ ეურჩა: რაღაც აქამდის უცნობმა სიამოვნებამ შეიპყრა იგი. ამ დროს უეცრად მოისმა ხმა: „ეხლავ, ეხლავო! მე პატარებს დავაძინებო და მოვალო.“

როგორც ჯადომ, ისე იმოქმედა მშვენიერს ქალზედ ამ უბრალო სიტყვებმა ღვთის-მოშიშის პირით გამოთქმულმა, მშვენიერს ქალზედ, მეთქი, რომელიც გაჩენილი იყო მარტო ბედნიერებისათვის, სიყვარულისათვის, მხიარულებისათვის და რომელიც ამ ჟამად შეწუხებული და თავ-ზარ დაცემული იყო უკადრისის ქცევისა გამო.

როცა ქმარმა კარები დაუკეტა და თან წაიყვანა მისი გოგოც კი, სირონა ჯერ გარისხდა, ტიროდა, გულში ცხარობდა, ჯავრი უნდა ამოვიყაროო, მერე კი თან-თან დაუამდა გული, მიჯდა ფანჯარასთან და დაიწყო ფიქრი თავის მშვენიერს სამშობლოზედ, თავის შორ-მყოფთ და-ძმებზედ და ზეთისხილის ჩრდილიანს ჭალებზედა აი სწორედ მაშინ მოუსწრო გერმასიცა.

დიდი ხანია იცოდა, რომ გერმასს ძალიან მოეწონა და თვითონ სირონასაც იამა ეს ამბავი, რადგანაც ყმაწვილი-კაცი ამასაც ესიამოვნებოდა. უფრო ის მოსწონდა ამ ყმაწვილ-კაცში, რომ ამის წინ მორცხობდა, ამასთანაც სირონამ იცოდა, რომ ეს მეუდაბნოე ცხვრის ტყაპუჭში დიდის გვარის შთამომავლობის ყმაწვილი-კაცია. როგორ არ უნდა შეჰსცოდებოდა ვისმე ეს უბედური ჭაბუკი, რომელიც გულ-ქვა მამის მოწყალებით ჰლუპავდა აქ უდაბნოში თავის უკეთესს სიყმაწვილის დღეოს!

ქალის გული იმისკენ უფრო მიიწევს ხოლმე, რომელიც გულ-მტკივნეულობას გაუღვიძებს: იქნება ეგ იმისგამო მოხდება ხოლმე, რომ ამ გვარს შემთხვევაში ქალი თავის-თავს უფრო ძლიერადა ჰგრძნობს, ვიდრე მას ვინც ეცოდება და იქნება იმის გამოც, რომ ტანჯული კაცი თავისის ტანჯვით საზდოს აძლევს უკეთესს თვისებას ქალისას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სულ-გრძელებით მიეშველოს მოყვასსა. ქალის გული უფრო ჩჩვილია, ვიდრე ჩვენი კაცის გულში სიყვარულს განქრობა მოელის, როცა გულ-მტკივნეულობაზედ მიდგება ხოლმე საქმე.

ხოლო ქალის გული გასაშლელი კოკორია, რომელსაც აღტაცება, როგორც სხივი მზისა, გაშლის ხოლმე ყვავილად და თვით გულ-მტკივნეულობა კი სხივია, ქალის გულიდამ ამომავალი. სირონას კი არც აღტაცებით მოსვლია, არც გულ-მტკივნეულობით, რომ იმ ღამეს გერმასი თავისთან იხმო.

იგი იყო ისე მარტოდ-მარტო, ისე მოწყენილად, რომ ვინც უნდა ყოფილიყო, ყველას სიხარულით მიიწვევდა, ოღონდ კი იმედი ჰქონოდა, რომ ამ ჩემს შეურაცხ-ყოფაში ნუგეშის სიტყვას გულით მეტყვისო. ამ დროს მოვიდა ჭაბუკი მეუდაბნოეც, რომელიც სირონას წინაშე ივიწყებდა ხოლმე თავს, ქვეყანას და ყველაფერს თვის გარეშემო, რომლის ყოველი მოძრაობა თვალის დახამხამებაც კი ამტკიცებდა, რომ იგი თაყვანებით ეძღევა. ახლა იმისი ამოხტომა ფანჯარაში, იმისი მხურვალე ტრფიალება! სიყვარულია, სიყვარულიო, ამბობდა თავის გულში სირონა. სისხლი თავში აუვარდა და როცა გერმასმა ხელზედ კოცნა დაუწყო, სირონამ ვეღარ შეჰსძლო ურჩობა, ვიდრე დოროტეას ხმამ არ მოაგონა დარბაისელი დედა-კაცი, მისი შვილები და ამასთანავე თავისი საკუთარი დაშორებულნი დები და ძმები,

ამ წმინდა არსებათა მოგონებამ ისე განწმინდა მისი ფიქრი და გული, როგორც წმინდა ნაკადულმა. „ესენი რომ არა მყოლოდა, რა მეშველებოდა! გაიფიქრა სირონამ: ან ღირს კი ეს ახმახი, შეტრფიალებული ბავშვი, რომელიც პოლიკარპთან სწორედ ქურის ბიჭსა ჰგავს, რომ იმის გულისათვის ამათ პირზედ თამამად ველარ შევხედო!“ გაიფიქრა ეს და თავ-მოწონებით ხელი ჰკრა გერმასს, რომელმაც თმაზედ კოცნის სურვილი გაუბედა და უბძანა თავი რიგიანად დაიჭიროს და დაეთხოვოს მის ხელს.

ეს უთხრა დაწყნარებით, მაგრამ ისე ფხიანად, რომ გერმასი, ისეც ჩვეული მორჩილებას, დაემორჩილა ხმა ამოუღებლივ და გავიდა მეორე ოთახში. იქ კანდელი ენთო და კუთხეში ეწყო ტანისამოსი—ჩაჩქანი, კვერთხი ცენტურიონისა და სხვა იარაღი, რომელიც სალოცავად წასულს ფებიცის შემოეხსნა და აქ დაეწყო და მის მაგიერად მორთულიყო სხვა ტანისამოსით, რომელიც მის ხარისხს კერპთ-მსახურობისას შეეფერებოდა.

კანდელის სინათლემ მიიზიდა სირონაცა. როცა თვალწინ დაუდგა გერმას მთელის თავის მშვენიერებითა, ჭაბუკის გულმა განამძლიერა ფეთქვა და გერმასმა უფრო მომეტებულის კადნიერებით გაიწოდა ორივე ხელი, რომ სირონა მიიზიდოს. ხოლო სირონა გამოუსხლტა ხელიდამ, შემოურბინა სტოლს და სტოლს უკან გაჩერდა და ამ სახით სტოლი წინ მოიქცია თითქო ფარდათ აიფარაო. მერე აქედამ დაუწყო, როგორც დედამ ტკბილის სიტყვით, ვედრება, რომ ასე კადნიერად, ურიგოდ და უზომოდ იქცევიო.

ქალის გულის მცოდნეს სიცილი წასკდებოდა ამ სიტყვებზედ, იმ ბაგეთაგან ნათქვამზედ, მერე იმისთა დროს; ხოლო გერმასმა სირცხვილით თავი ძირს ჩაღუნა და პირ გამშრალმა ხმა ველარ ამოიღო. სირონა უეცრად გადასხვაფერდა. თავი მოჰსწონდა თავისის კეთილ-მოქმედების გამო და იმ ძლევის გამო, რომელიც თავის-თავზედ გამოიჩინა. მოჰსწონდა რა ეს თავისი საკუთარი ღირსება, მოისურვა, რომ გერმასმაც იგრძნოს მის თავ-მოწონების მიზეზი და გაიკვიროს.

მოუყვა ლაპარაკს მასზედ, რამდენს ნაკლებულობას და ტანჯვას ითმენს აქ სოფელში; მერე ჩამოუგდო სიტყვა უცოდველობაზედ, დედა-კაცის მოვალეობაზედ და მამა-კაცთა ურცხვობაზედ და გულ-ქვაობაზედ.

— გერმასი, ამბობდა თავის-თავად: სხვაზედ უკეთესი არაფრით არ არის. და რადგანაც მე ყოველთვის ალერსით ვექცეოდი, რაღაც იმედებით აივსო გული და სხვა თვალით დამიწყო ყურება. ძალიან ჰსცდება კი,—ეზოში ხალხის ფეხი რომ არ ირეოდეს, დიდი ხნის სახლიდამაც გავაბძანებდიო.

კარგა ხანია რაც გერმასი ყურს ნახევრობამდინაც არ უგდებდა სირონასს. მისი გულის ყური მიიზიდა ფებიცის იარაღმა და მის წადილებს სულ სხვა ახალი მიმართულება მიჰსცა. უნებლიედ ხელი ჩაჩქაროსაკენ გაიწოდა და გააწყვეტინა სიტყვა სირონას ამ კითხვით:

— შეიძლება ამ ტანისამოსით და იარაღით მოვირთო?

ამ სიტყვამ სიცილი მოჰგვარა სირონას გაიცინა და ახლა სულ სხვა კილოთი უთხრა:

— რატომ, რატომ! ჯარის კაცად ყოფნა გინდა? რა რიგად მოგიხდება! გაიძვრ ეგ ჭუჭყიანი ტუპუჭი და ვნახოთ როგორი გამოჩნდება მწირი-ბერი ცენტურიონის ტანისამოსში

გერმას სიტყვის გაწყობა აღარ მოასწრო. მოჰყვა მორთვას, სირონა შველოდა. სირონას ამ გვარი ამბავი ძალიან უყვარდა.

რა წამსაც გერმასი მის წინ დადგა ჩაჩქანით თავზედ, სირონას ძალიან უნდოდა, რომ თავისის ხელით მოერთვა; გულ-მოდგინებით დაუწყო კაბის სწორება, ბალთების შეკვრა, ხმალი შემოარტყა და როგორც ბავშვი გულ-უბრყვილოდ მიეცა ამ შექცევასა. თვითონ გერმასმა კი არ იცოდა როგორ ჩაეცვა უჩვევი ტანისამოსი. ხან ისე უხერხოდ ექცეოდა ტანისამოსს, რომ სირონა გულით ხარხარებდა. როცა დააპირებდა, რომ ხელი როგორმე მოჰკიდოს სირონას ხელსა,—და ამას ხშირად ჰბედავდა—სირონა ხელში კარგა ღონივრად ჰსცემდა და ზოგჯერ გაუჯავრდებოდა კიდეც ხოლმე.

მორცხობა სრულად დაეკარგა გერმასს ამ სასიამოვნო შექცევაში. მოჰყვა ლაპარაკს: რომ მომწყინდაო ამ უდაბნოში ყოფნაო, რომ თითონ პეტრემ მირჩიაო წადი და თავი ჰსცადე ქვეყნიერობაშიო. ბოლოს გაუმჟღავნა, რომ მამა-ჩემი მორჩება თუ არაო, ჯარში შევალ და სახელს ვიშოვნიო ჩემის ვაჟ-კაცობითაო.

სირონაც კვერსა ჰსცემდა, უწონებდა განზრახვას და ახალისებდა. მერე დაუწყო დაცინება რატომ ეგრე ცომი-

ვითა დგეხარო, აი როგორ უნდა იყურებოდეს მხედარი და თითონ გამოიჭიმა და მხედრის სანახაობა მიიღო. სირონას კასკასს ბოლო აღარ ჰქონდა, როცა ხედავდა, რა რიგის გულ-მოდგინებით გერმასი ცდილობდა სირონასათვის მიებაძნა.

ამ შექცევაში ბევრმა საათმა გაირბინა. გერმასს ძალიან მოჰსწონდა თავი თავის ახალ ტანისამოსში, უხაროდა რომ სირონასთან არის და ფიქრობდა მასზედ თუ თავს როგორ გამოიჩენს ომებში. სირონაც მხიარულად იყო ასე, რომ მირიამის ხმამაც, რომელიც გერმასმა ბუის ხმად მიიღო, მარტო ოდნავ შეუფერხა მხიარულება.

კარგა ხანი გავიდა ამ შექცევაში, ასე რომ პეტრეს მსახურებს დიდი ხანია რაც ეძინათ კიდეც. ბოლოს სირონამ უთხრა გერმასს, რომ გაიხადოს სხვის ტანისამოსი და წავიდეს. გერმასი რომ ტანისამოსს იხდიდა, სირონა ეუბნებოდა: ეზოზე ნულარ გაივლი, შენ უნდა ფანჯრიდამ გადახვიდე. ვიღაცა მოდის, მგონი, ქუჩაში. უნდა მოიცადო, მინამ გაივლიან.

მერე მობრუნდა და რომ დაინახა, რომ გერმასი ცდილობს ბალთები გაიხსნას და ვერ მოუხერხებაა, წაჰსკდა სიცილი. მაგრამ ღიმილი მალე შეუშრა ტუჩებზედ: ალაყაფის კარები დიდის ჭრიალით გაიღო, მისმა გოშიამ და სენატორის ძაღლებმა ყეფა დაიწყეს, და ..მოესმა ხმა თავის ქრმისა, რომელიც ძაღლებს უყვავებდა.

— ღვთის გულისათვის წადი, წადი აქედამ! თრთოლით შეჰყვირა გერმასს და საოცარის გულის სიმაგრით მივარდა, გააქრო სანთელი და გერმასს ხელი ჰკრა და ფანჯარაზედ მიაგდო. გერმასი უმალ გადაფრინდა ფანჯრიდამ ქუჩაში და გამალებული გაიქცა ნიშისაკენ, უკან დაედევნენ ყეფით ძაღლები, ეზოებიდამ გამოცვივნულები.

ნახევარი გზაც არ გაერბინა, რომ დაინახა კაცის სახე მის პირ-და-პირ მომავალი. მაშინვე ერთის რაღაცა სახლის ჩრდილს შეეფარა, მაგრამ კაცმა ფეხი აიჩქარა და პირ-და-პირ მისკენ გამოჰსწია. მაშინ იშვირა ფეხი და გაიქცა, ხოლო ის კი მაინც ფეხ-და-ფეხ მიზდევდა, მინამ გერმასი არ გავიდა სოფელ გარედ და არ შეუდგა მთის ბილიკს. გერმასი ჰგრძნობდა, რომ მდევარზედ ჩქარა მირბის და როცა ერთს კლდის ქვას მიადგა და მასზედ გადახტომა დააპირა, უკანიდამ ვიღაცამ დაუძახა და სახელი უხსენა, გერმასი შედგა, რადგანაც ხმა მდევარისა იცნო—ის იყო გულ-კეთილის პავლეს ხმა.

— შენა ხარ! უთხრა ალექსანდრიელმა ქშენით დაღალულობისაგან: შენ ჩემზედ სწრაფი ჰყოფილხარ. ხანი და ჟამი ტყვიით უმსებს ადამიანს ფეხებს; გარნა იცი შენ, რა შეასხამს ადამიანს სუბუქს ფრთებს? აი ეს ეს არის რაც შენ ეგ უნდა შეგეტყო. მე გეუბნები შენს უწმინდურს სინიდისზედ, რომელსაც ეხლა ძაღლების ყეფა ხმა-მაღლა ამხელს.

— დეე იყეფონ? უპასუხა გულ-მოსულობით გერმასმა და ამაოდ იმეცადინა ხელიდამ გამოსხლტომა პავლეს, რომელსაც მაგრად ჩაეჭიდნა ხელი და არ უშვებდა: მე ცუდი არა მიქნია რა!

— ნუ ინდომებ ცოლსა მოყვასისა შენისასა, გააწყვეტინა სიტყვა პავლემ დადინჯებულის და დარიგების ხმით: შენ ახლდი მშვენიერს ცოლს ცენტურიონისას და თქვენი ერთად ყოფნა უეცარმა შემთხვევამ შეჰსწყვიტა. სად არის შენი ცხვრის ტყაპუჭი?

გერმასმა გაფითრებით წაივლო ხელი მხრებზედ, მერე დაიძახა და შემოიკრა თავში ხელი:

— ოჰ, მოწყალეო ღმერთო, იქ დამრჩენია! ეხლა ის ცოფიანი ნახავს და უყურე მაშინ.

— შენ თვითონ კი არ უნახვიხარ? ჰკითხა პავლემ.

— არა, ვერა მნახა, ვერ! ამოიკვნესა გერმასმა: საქმე ტყაპუჭშია, ტყაპუჭში!...

— მართალი ხარ, მართალი,—ეუბნებოდა პავლე: თუმცა ამით ცოდვა არ შეიმსუბუქდება, მაგრამ მაინც კიდევ მოვახერხებთ რასმეს. შენ მარტო ეს იფიქრე: რა მოუვიდოდა მამა-შენს ეგ ამბავი რომ შეეტყო,—ხომ მაგის შეტყობა და იმის სიკვდილი ერთი იქნებოდა.

— სირონაა შესაბრალისი, სირონა! კვნესით დაიძახა გერმასმა.

— სირონას საქმე ჩემზედ მოაგდე,—უთხრა პავლემ: მე ვიცი და იმან. აჰა, ჩემი ტყავი ჩაიცვი. არ გინდა თუ? აბა რა? ვისაც არა ჰსცხვენიან შებილწოს ქორწინების კავშირი, იმისათვის აღარაფერია მამ..ს მკვლელობა. აჰა, ჩაიცვი, მეთქი. აი აქ მხარზედ აქვს შესაკრავი. შენ ეგ დაგჭირდება, რადგანაც ამ ადგილებს დღესა და ხვალ უნდა გაეცალო. შენ ხომ მაინც გინდოდა ქვეყნად ყოფნა და აი ეხლა ვნახავთ, როგორ გამოიჩენ თავს შენს ნებაზედ რომ იქნები. უველაზედ უწინარეს შენ რაიტში წახვიდე; იქ მოკითხვა მოახსენე ღირსეულს მამას ნიკონს ჩემმაგიერ და უთხარი, რომ აქ უდაბნოში

მინდა დარჩენა, რადგანაც დიდის ლოცვის დროს ეკკლესიაში ზეგარდამოთ შთამეგონა, რომ მე ღირსი არა ვარ იმ წინამძღვრობის მაღალის ხარისხისა, რომლისათვისაც მე მიწვევდნენ. მას მერმედ შენ ჩაჯდები გემში და გახვალ ეგვიპტის ზღვის-პირს, სადაც ეხლა გამოჩენილან სამტროდ ბლემიელების ჯარი. შენ უნდა ირონინო ზღვის პირებზედ და თვალ-ყური ადევნო იმ ჯარსა. რა წამსაც ის მხეცი ხალხი დააპირებს ჩვენზედ დაცემას, შენ მაშინვე უნდა შეატყობინო მთის ყარაულებს. იმოდენა გამბედაობა და სიფთხილე გაქვს კი, რომ ყველა ეს როგორც რიგია შეასრულო? ჰო, თუ არა? ჰოო, მაშ კარგი. მე შენგან მაგის თქმას მოველოდი. მაშ წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე! მამის შენისა ნუ გეფიქრება, ეგ ჩემი კისერი იყოს, მისი კურთხევა და კურთხევა დედის შენისა იყოს შენთან, თუ გულ-წრფელად მოინანებ შენს ცოდვას და აღასრულებ, მას რაც ეხლა დაგავალე.

— ჩემს კაცობას დაგიმტკიცებთ! დაიძახა გერმასმა და თვალები გაუბრწყინდა: შენს მღვიმეში ჩემი მშვილდ-ისარია, ფან გამატანე... და მერე ნახავთ, ღირს კაცს მიანდეთ ეგ საქმე, თუ არა. მამა-ჩემი მომიკითხე, და ერთხელ კიდევ მომეცი ნება ხელი მეგობრულად ჩამოგართვა.

პავლემ წაავლო ხელი ჭაბუკის მარჯვენა ხელს, მიიზიდა თავისკენ და მამობრივის ალერსით შუბლზედ აკოცა, მერე სთქვა:

ჩემს მღვიმეში, მწვანე ქვის ქვეშ, კერასთან შენ ნახავ შვიდს ოქროს, სამი გზის ხარჯად წაიღე; მოგინდება, სხვა არა იყოს რა, გემში მისაცემად მაინც. ეხლა კი გზა მშვიდობისა, გაჰსწი!... ეცადე თავის დროზედ რაიტს მიხვიდე.

აჩქარებით აიარა გერმასმა მთა, და თავს იწონებდა, რომ ამისთანა მძიმე საქმე მიანდეს. მოსახიბვლელნი სურათნი სახელოვანის საქმეებისა, რომელთ ჩადენასაც იგი აპირებდა, წარმოუდგნენ თვალ-წინ და სრულიად ჩრდილში გადააყენეს ნათელი სახე მშვენიერის სირონასი, მით უფრო უმეტეს, რომ იგი კაი კაცის მფარველობის ქვეშ ეგულებოდა, რადგანაც პავლემ იკისრა მისი საქმე. გერმასს ძალიან ჰსწამდა გამოცდილება, კეთილ-გონიერება და უზომო გულ-კეთილობა პავლესი.

პავლემ ცოტა ხანს თვალი აადევნა მიმავალს გერმასს, მოკლე ლოცვა ჰსთქვა გერმასისათვის და წავიდა მინდორ-მინდორ.

შუაღამე დიდი ხანია გადასული იყო. უფრო და უფრო აცივდა იმის კვალობაზედ, რამოდენაზედაც მთვარე ძირს ჩადიოდა. გერმასს რომ თავისი ტყავი მიჰსცა, თვითონ თხელის ტანისამოსითღა დარჩა. მაინც კიდევ ფეხი არ აუჩქარა, ნელა მიდიოდა. ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე და რაღასაც ლუღლუღებდა თავის-თავად.

მისი ფიქრი ამ ჟამად მარტო გერმასი და სირონა იყო; ამათმა საქმემ თავისი საკუთარი ყმაწვილ-კაცობა მოაგონა, გაახსენდა ის ამბავი, რომ შაგვრემან აზოსი და ქერა თმიან სიმაიდის ფანჯრებ ქვეშ დადიოდა და ოხრავდა ხოლმე.

— ბავშვია, ყმაწვილია,—ამბობდა გულში: ან ვინ მოიფიქრებდა მაგისაგან ამ ყოფას? ამბობენ, რომ ქალი მშვენიერიაო, თვითონ გერმასი... მე თვითონ გამაოცა მისმა ტანადობამ, მოყვანილობამ, როცა დისკოს ვისროდით. მერე რა თვალები აქვს!... ჰო, თვალები!... მაგდალინას თვალებს რა რიგად მიუგავს! გალილიელს რომ მოესწრო ცოლთან, შიგ გულში ჩაჰსცემდა ხანჯალს და სააქაოს მსაჯულნი ამისათვის სასჯელსაც არ დაუნიშნავდნენ. მამა იქნებოდა შესაბრალისი, მამა. საწყალს ჰგონია, რომ მის საყვარელს შვილს წუთის-სოფელი და მისნი მაცდურებანი ამ უდაბნოში ვერ ერჩიან,—ახლა რა გამოდის? მე ყოველთვის ასე მეგონა, რომ ეს ნაყოფი ისე გახმება ამ დედა-მიწაზედ, რომ თავის დღეში ვერ მიახწევს ხის კენწეროსა, სადაც უფრო მოიწევა ხოლმე ხილი. მაგრამ აი გამოურბინა ფრენით ჩიტმა, მოჰსწყვიტა ნაყოფი, წაიღო თავის ბუდეში და სწორედ კენწეროზედ კი მოაქცია. ვის შეუძლიან წინადვე დახაზოს სხვის გზა და ჰსთქვას: ეს კაცი ხვალეც ასეთი იქნება და არა სხვა.

— ჩვენ სულელნი! უდაბნოში წუთის სოფლის დავიწყებას ვეძიებთ, წუთის სოფელს ვემალებით და წუთის-სოფელი კი კვალ-და-კვალ უკან მოგვდევს. სად არის იმისთანა მაკრატელი, რომ ჩვენი ჩრდილი მოვკვეცოთ და ჩვენს თავს მოვაშოროთ; სად არის იმისთანა ლოცვა, რომ ჩვენ, ხორცისაგან ნაშენთ, ყოველივე ხორციელი მიდრეკილება მოვიკლათ? ჰოი მაცხოვარო ჩვენო! მხოლოდ შენ ჰქმენ ეგ, განმანათლე მეც გლახაკი გლახაკთა შორის!

(შემდეგი იქნება)

თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ უძრავი ქონება ქვემოხსენებულთა პირთა, ბანკისაგან გირაოდ მიღებული, დაინიშნებიან საჯარო გასასყიდლად თანახმად § 15 ამა ბანკის წესდებისა დროზე შემოუტანლობის გამო ფულისა ანუ ამა ბანკის წესდების დადგინებულის ქვსის თვის წინ შემოსატანი ფული არ შემოუტანიათ.

გასყიდვა შეიძლება გაუქმებულ იქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკში შემოსატანს ფულს პატრონნი შემოიტანენ.

| სახელი და გვარი მამულის მეპატრონეთა. | რა გვარი მამულია, | სად და რა ადგილას არის მამული |
|---|---|---|
| საგინოვი, თავ. მიხეილ პაპატას ძე | სახნავი მიწა და ტყე, ზომით 2074 დღიური, 420 ოთხ-კუთხე საჟენი. | თელავის მაზრის სოფ. ახალ-დაბაში, ზემოხოდაშენში და ახშანში. |
| ჩოლოყაშვილი, თავ. ილიას ზაალის ძე | სახნავი, სათიბი, საბალახო ადგილები და ტყე, ზომით 3042 დღიური. | თბილისის მაზრის სოფელ დაბა ჭიაურში. |
| ყორღანოვები: ვასილი, ზაქარია, ნატალია და მიხეილ ნიკოლოზის ძენი | სახნავი, სათიბი, საბალახო ადგილები და ტყე, ზომით 584 დღიური, 880 ოთხ-კუთხე საჟენი. | თბილისის მაზრის სოფელ ჯილიზში. |
| ერისთვები: თ. რაფიელ და იოსებ დავითის ძენი | სახნავი და სათიბი ადგილები ერთი ნაკვეთი ტყით, ზომით სულ 900 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ. ქკრაში. |
| შალიკაშვილნი: თ. კონსტანტინე როსტომისძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მარტია დიმიტრის ძენი და კნეინა სალომე პანტელეიმონის ასული შალიკაშვილისა | სახნავი, სათიბი და საბალახო ადგილები, ტყე. და ხეხილიანი ვენახი, ზომით სულ 1446 დღიური და 2294 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის სოფ. ქკრაში. |
| შალიკაშვილი, თავ. იოსებ ივანეს ძე | სახნავი და სათიბი ადგილი, ხეხილიანი ვენახის ბაღი სულ 270 დღიური. | სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში. |
| ორბელიანი, თ. ვახტანგ ვახტანგის ძე | ს:ხნავი, საბალახო და სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 1977 დღიური და 1280 ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისის მაზრის სოფელ ძველ დუმანისში ჭილიჭაურაში, ციხის სანდარი, საფარლოში და ვარტქვანის სოფელში. |
| ორბელიანი, თავ. ვახტანგ ვახტანგის ძე | სახნავი ადგილი, საბალახო, სათიბი და ტყე, ზომით სულ 1434 დღიური, 1,120 ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისის მაზრის სოფელ მუსივალა. |
| ამილახვარი, თავ. ამირანდო ამირანდოს ძე | სახნავი და საბალახო ადგილები ზომით 145 დღიური, 1756 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის სოფელ ნაპრეტში. |
| ანდრონიკაშვილი, თ. იესეს ძე | სახნავი და საბალახო ადგილები, ჩირგვებიანი ტყე, ზომით სულ 4765 დღიური. | თბილისის მაზრის სოფელ ლოშბალასთან. |
| ყობიევი, ეფრემ თუმანის ძე | სახნავი ადგილი და ტყე, ზომით სულ 42 დღიური, 285 ოთხ-კუთხე საჟ. | დუშეთის მაზრის სოფელ მილახვრიანტკარში. |
| სულთანოვი, ხეჩატურ როსტომის ძე | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი მიწით, ზომით 38 ოთხ-კუთხე საჟენი და ჩარშინი. | ქ. თბილისში მეორე განყოფილების მე-13 ნაწილში, ავლაბარში. |
| სოფრონოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი მიწით, ზომით 146 ოთხ-კუთხე საჟენი და ნახევარი არშინი. | თბილისის 11 განყოფილების 16 ნაწილში, ნავთლუღში. |
| ტერ-მიკირტიანცი, ქრისტეფორე მიკირტას ძე | სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ყოველ-გვარი მოშენებულებითურთ და ადგილით, ზომით სულ $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისში 2 განყოფილების მე-11 ნაწილში ნიკოლაევის ქუჩაზე ჩუღურეთში. |
| ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ფლიგელითურთ და სხვა შენობებით და მის ქვეშ ადგილით ზომით 88 ოთხ-კუთხე საჟენი და $1\frac{1}{2}$ არშინი. | თბილისში პირველ განყოფილების პირველ უჩასტკაში დავიდოვის ქუჩაზე. |

| სახელი და გვარი მამულის მეპატრონეთა. | რა გვარი მამულია. | სად და რა ადგილას არის მამული. |
|---|---|---|
| სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული . . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი ბალკონით, ორი სამ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, და თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი მას ქვემო ადგილით, ზომით სულ 276 ოთხ-კუთხე საჟენი და შვიდი არშინი. | თბილისში ა) 1, პირველის განყოფილების მე-7 ნაწილში, ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. |
| თეთრაძე, გლახა ზურაბისძე . | ა) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამ-სართულიანის ქვითკირის ფლიგელით და სარდაფით და ბ) ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სამზარეულოთი და მის ქვეშ მიწით, ზომით 125 ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისში, პირველის განყოფილების პირველს ნაწილში დავიდოვის ქუჩაზე. |
| პავლიევ, იაკობ სიმონის ძე . | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით მიშენებულებით და მის ქვეშ ადგილით, ზომით სულ [illegible]2 ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისში პირველის განყოფილების მეხუთე ნაწილში, ნემცების ქუჩაზე. |
| ამატუნისა, ანნა ნაზაროვის ასული . . . . . . . | ა) ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით, სარდაფით და ორ-სართულიანი მოსამსახურეების სადგომით და ბ) ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი იმის ქვეშ მიწით, ზომით სულ 578 ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. თბილისში პირველს განყოფილების, მე-14 ნაწილში ველიამინოვის ქუჩაზე. |
| ამირაღოვი, ისაკ მოსესძე . | ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი სარდაფით ყოველ გვარის კუთვნილობით და მის ქვეშ მიწით ზომით სულ 490 ოთხ-კუთხე საჟ. | ქალაქ გორში |
| საყვარელიძე, მინადორა ზურაბის ასული . . . . . | სახნავი ადგილი. ზომით სულ 213 ოთხ-კუთხე საჟ. შენობებით. | ქ. გორში. გორის მაზრაში. |
| ყურული, დურმიშხან შალვას ძე . . . . . . . | ერთი ნაკვეთი ადგილი, ზომით 25 დღიურ 600 ოთხ-კუხე საჟ. შენობით. | ქ. გორში. გორის მაზრაში. |
| მეხტიევი, სადიხ ასკაროღლი . . . . . . . | ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ხილის ბაღით და მიწით იმის ქვეშ, ზომით სულ 547 ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. თბ. პიველის განყოფილების მე-9 ნაწილში ბატანიკის ბაღის ახლო. |
| ყორღანოვი, შალვა ზაქარას ასული . . . . . . . | სახნავი, სათიბი ადგილი და ტყე, ზომით სულ 153 დღიური 1500 ოთხ-კუთხე საჟ. | თბილისის მაზრის შავთას და განეთის აგარაკზე. |
| ვაჩნაძე, თავ. ივანე ბაადურის ძე . . . . . . . | ორი ვენახის ბაღი, ცარიელი ადგილით მასთან ერთი ბაღი 1789 ოთხ-კუთხიანი საჟ. მეორე კი სიგრძით 124 საჟ. სიგანით აღმოსავლეთის მხრით 2812 საჟ. და დასავლეთის მხრით 27 საჟ. | სიღნაღის მაზრის მეტეხის აგარაკში დაბაკურ ციხე. |
| ყანჩელი, ივანე იოსების ძე და ქაიხოსრო ქრისტეფორის ძე . . . . . . . | ორი ვენახი, ქვითკირის წისქვილი ორი თვალი და ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი იმის ქვეშ მიწით, ზომით სულ1935ოთხ-კ საჟ. | გორის მაზრის სოფ. მეტეხში. |
| პატედნია, ბასილი ივანესძე . | ვენახი ორ-სართულიანის სახლით და იმის ქვეშ მიწა, ზომით სულ 2400 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის პატარა თამარაშენში. |
| ზანტუკელი, ოტია გიორგის ძე . . . . . . . | ვენახი, მიწითურთ, ზომით 7 დღიური. | დუშეთის მაზრის სოფელ არაგვისპირთან. |
| ვახვახოვისა, კნეინა ეკატერინა ვახვახოვისა . . . . . | სახნავი მიწა და ტყე, ზომით სულ 38 დღიური 555 ოთხ-კუთხე საჟ. | თელავის მაზრის სოფელ კონდოლთან. |
| ვაჩნაძე, თავ. გრიგორ ნიკოლოზის ძე . . . . . . | ვენახი მიწით, სულ 1 დღიური და 1200 ოთხ-კუთხე საჟ. | სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში. |
| ვახვახოვი, თავ. ზაქარია ივანეს ძე . . . . . . . | ვენახი მიწითურთ, ზომით 7 დღიური 920 ოთხ-კუთხე საჟ. | თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში. |

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 Октября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაკტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე